CRRC-საქართველო

ანტიდასავლური რიტორიკა „ფეისბუქში“

2024 წლის 29 ნოემბრიდან
2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში

დეკემბერი, 2025

ანგარიში

ანტიდასავლური რიტორიკა „ფეისბუქში“

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში

2025

ავტორები: მარიამ კობალაძე, უფროსი მკვლევარი,

სალომე დოლიძე, მკვლევარი,

ქრისტინე ჯინჭველეიშვილი, უმცროსი მკვლევარი

CRRC-საქართველო

1 ლიზიკო ქავთარაძის ქ. თბილისი, 0179, საქართველო

https://www.crrc.ge

crrc.georgia@crrccenters.org

ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC-საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.

სარჩევი

დიაგრამების ჩამონათვალი iii

მოკლე შეჯამება 1

შესავალი 2

- კონტექსტი 3

ძირითადი ნარატივები 5

- პოსტებში ნახსენები ძირითადი აქტორები 9
- ძირითადი გამავრცელებლები (პოსტების ავტორები და გამზიარებლები) 13

ანტიდასავლური რიტორიკის ბუნება 14

დასკვნა 18

დანართი 1: მეთოდოლოგია 19

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1: ძირითადი ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, სრული მონაცემები (პოსტების რაოდენობა) 7

დიაგრამა 2: ძირითადი ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი (პოსტების რაოდენობა) 8

დიაგრამა 3: ძირითადი ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, სომხურენოვანი სეგმენტი (პოსტების რაოდენობა) 9

დიაგრამა 4: პოსტებში ნახსენები ძირითადი აქტორები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, სრული მონაცემები (პოსტების რაოდენობა) 11

დიაგრამა 5: პოსტებში ნახსენები ძირითადი აქტორები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი (პოსტების რაოდენობა) 12

დიაგრამა 6: პოსტებში ნახსენები ძირითადი აქტორები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, სომხურენოვანი სეგმენტი (პოსტების რაოდენობა) 12

დიაგრამა 7: აშკარად ყალბი ინფორმაციის პროცენტული წილი შერჩეულ პოსტებში 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე 15

მოკლე შეჯამება

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით CRRC-საქართველომ განახორციელა პროექტი „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით", რომლის ნაწილიც იყო ანტიდასავლური ნარატივების კვლევა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე". კვლევა მოიცავდა ერთწლიან პერიოდს 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე. დაკვირვება მიმდინარეობდა 16 საჯარო ჯგუფისა და გვერდის პოსტებზე. ეს ჯგუფები და გვერდები გამიზნული იყო ქართულენოვანი, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანულენოვანი და საქართველოში მცხოვრები სომხურენოვანი აუდიტორიისთვის. საერთო ჯამში, სიღრმისეულად გაანალიზდა 4,017 პოსტი.[1]

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ ანტიდასავლური ნარატივები საქართველოში მიზანმიმართულად ვრცელდება და მჭიდროდ უკავშირდება შიდა პოლიტიკურ პროცესებს, მათ შორის პროევროპულ საპროტესტო ტალღას, ოპოზიციის აქტივიზმს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების არგუმენტაციას და არჩევნებს. ძირითადი სტრატეგია მდგომარეობს ხელისუფლების დადებითი იმიჯის გამყარებასა და პროევროპული ან ოპოზიციური აქტორების დისკრედიტაციაში. „ქართული ოცნების" ხელისუფლება წარმოჩენილია როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის დამცველი და სტაბილურობის გარანტი, დასავლეთის მიმართ კი ხშირად არასანდო პარტნიორის, უარყოფითი აღქმა ყალიბდება.

ანტიდასავლური გზავნილების ფორმატი მრავალფეროვანია და ეყრდნობა ძირითადად ემოციურ, ვიზუალურ და სტრუქტურულად დახვეწილ მანიპულაციებს: ნახევრად სიმართლე, კონტექსტის შეცვლა ან გამოტოვება, ცალკეული ქმედების ან მოვლენის განზოგადება, სუბიექტური ინტერპრეტაციები, ემოციური იარლიყების მიწებება, სატირა და აუდიო-ვიზუალური მანიპულაციები. აშკარად ყალბი ინფორმაცია იშვიათად (პოსტების 1%-ის შემთხვევაში) დაფიქსირდა. თუმცა, პოსტების დაახლოებით მესამედის შემთხვევაში, რთული იყო ინფორმაციის ნამდვილობის შეფასება, გარკვეული ინფორმაციული მანიპულაციების გამო.

თვალსაჩინო იყო სხვადასხვა სეგმენტის მიმართ გამოხატული სტილისტური განსხვავებები: ქართულენოვანი აუდიტორიისთვის განკუთვნილი ნარატივები ხშირად ემოციურ, დამცინავ და დისკრედიტაციულ შინაარსს ატარებდა, ძირითადად ოპოზიციისა და პროტესტის მონაწილეების, იშვიათად საერთაშორისო აქტორების მიმართ. სწორედ ქართულენოვან პოსტებში იყო ყველაზე ხშირად ფოტო და ვიდეო მანიპულაციის შემთხვევები, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. სომხურენოვან სეგმენტში აქტიური იყო როგორც პროსახელისუფლებო, ასევე რუსული გავლენის ნარატივები. აზერბაიჯანულენოვან კონტენტში ანტიდასავლური გზავნილები ძირითადად საინფორმაციო ფორმატში, ოფიციალური განცხადებების სახით ვრცელდებოდა. ეს გარკვეულწილად შერჩევის თავისებურებიდანაც გამომდინარეობდა, რადგან ვერ მოხერხდა საკუთრივ ანტიდასავლური შინაარსის „ფეისბუქ" გვერდის/ჯგუფის მოძიება და დაკვირვება იმ რეგიონში პოპულარული ახალი ამბების გვერდებზე მიმდინარეობდა.

[1] კვლევის დეტალური მეთოდოლოგია მოცემულია დანართში.

რაც შეეხება პოსტების შემქმნელებსა და გამავრცელებლებს, აქაც მრავალგვარი ტიპის აქტორი მონაწილეობდა. ერთი მხრივ, თავად მონიტორინგისთვის შერჩეული გვერდები/ჯგუფები და მათი „ადმინები“, რომლებიც აქტიურად ქმნიდნენ, აზიარებდნენ და ემოციურად აძლიერებდნენ პოსტებს. ასევე, ყველაზე ხშირად: საინფორმაციო მედია საშუალებები, ხელისუფლების ღიად თუ ფარულად მხარდამჭერი გვერდები და ჯგუფები, ხელისუფლების წარმომადგენელი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ასევე უცნობი ინდივიდები.

საერთო ჯამში, „ფეისბუქზე“ ანტიდასავლური ნარატივები საქართველოში წარმოადგენს კარგად ორგანიზებულ, მიზნობრივ საინფორმაციო ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება ხელისუფლების მხარდაჭერის განმტკიცებას, ოპოზიციის დისკრედიტაციასა და საზოგადოების პოლარიზაციის გაღრმავებას. მათი სტრუქტურული მახასიათებლები კომპლექსურ და თანმიმდევრულ საინფორმაციო გარემოზე მიანიშნებს, სადაც სხვადასხვა ტექნოლოგია, ავტორი და აუდიტორიის სეგმენტაცია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

შესავალი

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით” ფარგლებში CRRC-საქართველომ ჩაატარა კვლევა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ანტიდასავლური ნარატივების შესახებ. მონიტორინგის მიზანი იყო:

- „ფეისბუქზე“ გავრცელებული ძირითადი ანტიდასავლური ნარატივების იდენტიფიცირება,
- იმაზე დაკვირვება, თუ ვისზე ან რაზე საუბრობენ ამ ნარატივებში ყველაზე ხშირად,
- ვინ ქმნის და ვინ ავრცელებს ამ ნარატივებს და
- როგორია ანტიდასავლური ნარატივების შემცველ პოსტებში ინფორმაციით მანიპულაციის ტექნიკები.

კვლევა მოიცავდა 16 „ფეისბუქ“ გვერდსა და ჯგუფს, რომლებიც წინა კვლევებზე დაყრდნობით და ამ თემაზე მომუშავე პირთა რეკომენდაციით შეირჩა, მათ შორის ისეთებს, რომლებიც ფოკუსირებულია აჭარის რეგიონზე და სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაზე. თუმცა, ნაწილობრივ აჭარის შემთხვევაშიც და უფრო მეტად აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობით დასახლებული რეგიონის შემთხვევაში, ვერ მოიძებნა ისეთი გვერდი/ჯგუფი, რომელიც გამოკვეთილად ანტიდასავლურ კონტენტზე ავრცელებდა. შესაბამისად, შერჩევაში მოხვდა საინფორმაციო ტიპის „ფეისბუქ“ გვერდები და ეს საბოლოოდ აისახა მონიტორინგის შედეგებზეც, რადგან შედარებით უფრო დაბალანსებული იყო ინფორმაციის გავრცელება.

მონიტორინგი ერთი წლის განმავლობაში, 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე, აანალიზებდა პოსტებს შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებზე. საწყისი მომენტი იყო პრემიერმინისტრის ის განცხადება, რომელიც საზოგადოების დიდმა ნაწილმა საქართველოს ევროინტეგრაციის შეჩერებად აღიქვა და რასაც მასობრივი საპროტესტო ტალღა მოჰყვა.

მოცემული გაერთიანებული ანგარიში ეფუძნება **4,017 სიღრმისეულად გაანალიზებულ პოსტს**:

- 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის მაისის ბოლომდე — 2,261 პოსტი;
- 2025 წლის ივნისიდან ნოემბრის ბოლომდე — 1,756 პოსტი.

მონიტორინგის შედეგები თავმოყრილია ვებგვერდზე dash.crrc.ge, სადაც შესაძლებელია ანტიდასავლური პოსტების დინამიკის, ძირითადი ნარატივების, თემებისა და აქტორების ანალიზი ამ ერთი წლის განმავლობაში დროის სხვადასხვა მონაკვეთის მიხედვით.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირია: მოკლედ აღწერილია ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენები მონიტორინგის ამ ერთი წლის განმავლობაში, შემდეგ კვლევის ძირითადი მიგნებები დაჯგუფებულია რამდენიმე თავად – ძირითადი ნარატივები, ძირითადი აქტორები, პოსტების ავტორები და გამავრცელებლები და ანტიდასავლური რიტორიკის ბუნება. ძირითად მიგნებებს აჯამებს დასკვნა, ხოლო კვლევის მეთოდოლოგია აღწერილია დანართში.

კონტექსტი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელსაც საერთაშორისო დამკვირვებლებმა, ოპოზიციამ და სამოქალაქო საზოგადოებამ უნდობლობა გამოუცხადა, 28 ნოემბერს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო 2028 წლამდე ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებებს დღის წესრიგში აღარ დააყენებდა. ამ გადაწყვეტილებას მოსახლეობის მყისიერი პროტესტი მოჰყვა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობდა და კვლავაც გრძელდება. პროტესტის პირველ კვირებში ხელისუფლებამ აქციის დასაშლელად ძალა გამოიყენა, ასობით მომიტინგე დაშავდა, მათ შორის ჟურნალისტები.

ოპოზიციის ბოიკოტის გამო პარლამენტში მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრები შევიდნენ და მიიღეს კანონები, რომლებიც ამკაცრებდა სანქციებს მშვიდობიანი პროტესტის სტანდარტული ფორმების, მაგალითად, გზის გადაკეტვის ან სახის ნიღბით დაფარვის შემთხვევაში. ათობით მომიტინგე დაჯარიმდა, ზოგი მათგანი სისხლის სამართლის წესით დააკავეს და რამდენიმეწლიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. განსაკუთრებით გახმაურებული იყო ჟურნალისტი მზია ამაღლობელის დაკავება, რომელიც ჯერ ადმინისტრაციული, შემდეგ სისხლის სამართლის წესით დააკავეს. 2025 წლის აგვისტოში მას ორ წლამდე პატიმრობა მიესაჯა.

2025 წლის თებერვალში პარლამენტმა შექმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელსაც თეა წულუკიანი ხელმძღვანელობდა და რომელიც ძირითადად ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დანაშაულების გამოძიებაზე მუშაობდა. კომისიაზე დაიბარეს ოპოზიციური პარტიების ლიდერები, რომლებიც, ძირითადად, ბოიკოტს უცხადებდნენ კომისიის საქმიანობას. არგამოცხადების გამო რამდენიმე მათგანს პატიმრობა შეეფარდა. პარალელურად, შემოიღეს რეპრესიული კანონმდებლობა არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის საქმიანობის

შეზღუდვის მიზნით, მათ შორის „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“ და ცვლილებები გრანტების კანონში; შვიდი ორგანიზაციის ანგარიშები დააყადაღეს და მათ წინააღმდეგ საბოტაჟის მუხლით გამოძიება დაიწყეს.

მონიტორინგის სრული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა ყოველდღიური პროევროპული საპროტესტო აქციები, რომლებზეც ათასობით ადამიანი რეგულარულად გამოდიოდა სხვადასხვა ქალაქში. ხელისუფლება აქტიურად იყენებდა სამართლებრივ ინსტრუმენტებს პროტესტის შესაზღუდად. მართლმსაჯულების სისტემა ხშირად ახდენდა საპროტესტო ქმედებების გადაკვალიფიცირებას ძალადობრივ დანაშაულებად, რასაც არაპროპორციულად მკაცრი განაჩენები მოჰყვა და აქტივისტებს, „სინდისის პატიმრებს“, 4.5–დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნები ამ რეპრესიულ გარემოში ჩატარდა. მასობრივი დაპატიმრებებისა და უთანასწორო საარჩევნო პირობების გამო, მსხვილმა ოპოზიციურმა პარტიებმა პროცესს ბოიკოტი გამოუცხადეს. შედეგად მმართველმა პარტიამ ხმების 80%–ზე მეტი მოიპოვა. არჩევნების პარალელურად გაიმართა მასშტაბური საპროტესტო აქცია პაატა ბურჭულაძისა და მურთაზ ზოდელავას ორგანიზებით, რომლის დროსაც პრეზიდენტის რეზიდენციაში შეჭრის მცდელობა დაფიქსირდა. სამართალდამცველებმა აქცია სპეც. საშუალებებით დაშალეს და ადგილზევე დააკავეს საორგანიზაციო კომიტეტის წევრები და ათობით მონაწილე.

მიმდინარე მოვლენებმა მნიშვნელოვნად დაძაბა საქართველოს ურთიერთობა დასავლელ პარტნიორებთან. ევროკომისიამ 2025 წლის 4 ნოემბრის ანგარიშში აღნიშნა „დემოკრატიული ინსტიტუტების მიტაცების“ შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მოწოდებებს ხელისუფლება სუვერენიტეტში ჩარევად აფასებდა.

რეგიონული და გლობალური კონტექსტი ასევე კრიტიკული იყო: რუსეთ–უკრაინის ომი გაგრძელდა, ნატოსა და ევროკავშირს თავდაცვისა და ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება დაევალათ. აგვისტოში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმება გაფორმდა, რამაც სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობა გაზარდა.

მთლიანობაში, 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ნოემბრამდე პერიოდი ხასიათდება მდგრადი პროევროპული პროტესტით, სისტემური სამართლებრივი და არასამართლებრივი რეპრესიებით, ოპოზიციისა და „სინდისის პატიმრების“ დაპატიმრებით, გამკაცრებული საპროტესტო კანონმდებლობით, სადავო არჩევნებით და დასავლელ პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობით.

ძირითადი ნარატივები

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში ქართულენოვან „ფეისბუქ“ სივრცეში აქტიური დისკურსი ძირითადად რამდენიმე ტალღად ვითარდებოდა, რაც იმ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს პირდაპირ უკავშირდებოდა. მასობრივი პროტესტის დაწყების მეორე დღეს, 29 ნოემბერს, პოსტების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა. ეს ტენდენცია დეკემბრის პირველ კვირაშიც შენარჩუნდა – პროტესტის „ცხელ“ ფაზაში, როდესაც რუსთაველის გამზირზე დემონსტრანტებს წყლის ჭავლითა და მხუთავი გაზით შლიდნენ. პირველ ეტაპზე დომინირებდა პროევროპული პროტესტის დისკრედიტაციული გაშუქება, დეკემბრიდან კი აქტიურად დაიწყო ანტიდასავლური ნარატივები: აქციების მონაწილეები წარმოჩენილნი იყვნენ მოძალადეებად, პროტესტი – სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად, ხოლო ოპოზიცია და დასავლეთი – დესტაბილიზაციის უკან მდგომ ძალებად. ამავე პერიოდში თვალშისაცემია რელიგიური ნარატივების გამოყენება, მაგალითად, საპროტესტო აქციების წარმოჩენა ეკლესიისა და რწმენის წინააღმდეგ.

ინფორმაცია მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდა: ზინაგიდგან ბრძოლა ნარეულობის ეზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC–საქართველოს მიერ შეფდეთის საერთაშორისო განვითარების საგანგებელია (5 da) მხარდაჭერით განხორციელდა. ამში გადმოცემული ინფორმაცია ეკუთვნის CRRC–საქართველოს „ლენეგი შეფდეგები“ და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შეფდეთის საერთაშორისო განვითარების სააგანგებელია (5 da) პოზიციას.

იანვარში ანტიდასავლური ნარატივები ინტეგრირდებოდა გლობალურ დისკურსში: დონალდ ტრამპის ინაუგურაცია, ევროკავშირის შეზღუდვები და USAID–ის საქმიანობის კრიტიკა წარმოაჩენდა დასავლეთს, როგორც არასამართლიან ძალას, რომელიც დაპირისპირებულ პოლიტიკურ ჯგუფებს ხელს უწყობდა. ამავე დროს, პროტესტის მიმართ ტონი შეიცვალა – თუ მანამდე დომინირებდა პირდაპირი აგრესია, იანვარში უფრო მეტად ხდებოდა დამცინავი ნარატივების გავრცელება. აქციის მონაწილეები წარმოჩენილნი იყვნენ „ავადმყოფებად“ და „სასაცილოებად“. ამ პერიოდში ასევე გაჩნდა ანტიდასავლური ნარატივები, რომლებიც მხარს უჭერდნენ აღმოსავლური ეკონომიკური კავშირების ლეგიტიმაციას.

თებერვალში, მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები, გააქტიურდა შეკრების თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხები. აქცენტი კვლავ გაკეთდა პროდასავლური პროტესტის

დისკრედიტაციაზე, ოპოზიციის და დასავლელი აქტორების კრიტიკაზე. ცალკე გამოყოფილი იყო სალომე ზურაბიშვილისა და ოპოზიციური პოლიტიკოსების დისკრედიტაციის ხაზი. ისინი ქვეყნის მტრებად და უცხო ძალების აგენტებად იყვნენ წარმოჩენილნი.

მარტიდან მაისამდე პერიოდში შიდა პოლიტიკაზე ფოკუსირება მოხდა: წინა პერიოდებთან შედარებით აქტუალური გახდა პოლიტიკურ პარტიებზე, განსაკუთრებით ნაციონალურ მოძრაობაზე და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ჯგუფების დელეგიტიმაციაზე საუბარი. ვრცელდებოდა თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით შექმნილ დროებით საპარლამენტო კომისიასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, გაზაფხულის თვეებში გამოჩნდა რადიკალურ–კონსერვატიული ნარატივებიც, რომლებიც ებრძოდნენ როგორც ოპოზიციას, ასევე „ლიბერალურ დასავლეთსა“ და „ფარისეველ“ ხელისუფლებას, ცდილობდნენ ერთგული ეროვნული ძალის ილუსტრაციას.

ზაფხულიდან შემოდგომამდე ანტიდასავლური დისკურსი კვლავ სეზონურად იყო დაკავშირებული შიდა პოლიტიკასა და საარჩევნო პროცესებთან. ზაფხულში ოპოზიცია წარმოჩენილ იქნა როგორც დაქსაქსული, სასაცილო და არასანდო ძალა, ხოლო პროდასავლური პროტესტი – საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი და კომიკური. ეს პერიოდი ასევე ხასიათდებოდა „ქართული ოცნების“ პოზიტიური ნარატივების გაძლიერებით, ხელისუფლების სტაბილურობის, მშვიდობის და განვითარების გარანტად წარმოჩენით. შემოდგომაზე, წინასაარჩევნოდ, აქცენტი კეთდებოდა არჩევნების ლეგიტიმაციაზე, ხელისუფლების მიღწევებსა და ოპოზიციის კრიტიკაზე. 4 ოქტომბრის საპროტესტო აქციის შემდეგ კვლავ გააქტიურდა პროტესტის კრიმინალიზაცია და „გარე ძალების ჩარევის“ ნარატივები, რასაც თან ახლდა ემოციური მხარდაჭერის გამოხატვა ხელისუფლების ლიდერების მიმართ.

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე ერთი წლის სრულ მონაცემებს თუ შევხედავთ, წლის განმავლობაში პოლიტიკური მოვლენების შესაბამისი ვარიაციები ყველაზე ხშირ ნარატივებში ნაკლებადაა ასახული. შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებში ძირითადი ნარატივები ოპოზიციისა და პროტესტის მონაწილეების დისკრედიტაციას ეხება (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1: ძირითადი ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, სრული მონაცემები (პოსტების რაოდენობა)



აზერბაიჯანულენოვან მედიასაშუალებებში ნაკლებად იყო წარმოდგენილი ღია ანტიდასავლური ნარატივები, რაც გარკვეულწილად შერჩევითაც იყო განპირობებული. საქართველოს აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაზე გათვლილი გამოკვეთილად ანტიდასავლური შინაარსის გვერდისა და ჯგუფის მოძებნა ვერ მოხერხდა, შესაბამისად, შერჩეული იყო პოპულარული ახალი ამბების გვერდები. ამ გვერდებზე მონიტორინგის ერთი წლის განმავლობაში ძირითადად დომინირებდა საინფორმაციო–რეგიონული კონტენტი, საქართველო–აზერბაიჯანის ურთიერთობები და ხელისუფლების პოზიციების გაშუქება (იხ. დიაგრამა 2). პერიოდულად ფიქსირდებოდა პროევროპული პროტესტისა და ანტიდასავლური გზავნილების კომბინაცია, განსაკუთრებით კრიზისულ მომენტებში. ამასთანავე, აქტუალური იყო ევროკავშირის კრიტიკა საქართველოს ხელისუფლების მიმართ და დონალდ ტრამპის საერთაშორისო განცხადებების გავრცელება, რაც ხელს უწყობდა აზერბაიჯანულენოვან აუდიტორიაში გლობალური პოლიტიკის ინტეგრაციას.

დიაგრამა 2: ძირითადი ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი (პოსტების რაოდენობა)



სომხურენოვან გვერდებსა და ჯგუფებში დომინირებდა ხელისუფლების ლეგიტიმაციის, ანტიდასავლური და პრორუსული ნარატივები. პროდასავლური პროტესტი წარმოჩენილი იყო როგორც ძალადობრივი, არალეგიტიმური და დასავლეთის მიერ ინსპირირებული, ხოლო ოპოზიცია – როგორც გარე ძალების აგენტი. მკვეთრად იყო ხაზგასმული ქვეყნის სტაბილურობის ნარატივი, აღმოსავლეთთან ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების დადებითი შეფასება, რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავების საჭიროება და დასავლეთის კრიტიკა უსამართლო ზეწოლისა და ორმაგი სტანდარტების გამო. უკრაინის ომის ინტერპრეტაცია ძირითადად პრორუსულ დისკურსში მიმდინარეობდა.

დიაგრამა 3: ძირითადი ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, სომხურენოვანი სეგმენტი (პოსტების რაოდენობა)



პოსტებში ნახსენები ძირითადი აქტორები

მონიტორინგის სრული პერიოდის მონაცემებით, შერჩეულ „ფეისბუქ“ გვერდებსა და ჯგუფებში პოსტების ცენტრალური აქტორი ერთმნიშვნელოვნად საქართველოს ხელისუფლება/„ქართული ოცნებაა“ (იხ. დიაგრამა 4). ხელისუფლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილი და პრემიერმინისტრი ირაკლი კობახიძე, უმეტესად პოზიტიურ კონტექსტში იყვნენ წარმოდგენილნი. ისინი წარმოჩენილნი იყვნენ როგორც სტაბილური, ერთიანი და ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული ძალა, რომელიც იცავს სტაბილურობას, მშვიდობას და ეროვნული სუვერენიტეტს. ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაში დადებითი გაშუქება განსაკუთრებით მაღალი იყო, ხშირად ის მოხსენიებული იყო როგორც ერის გადამრჩენელი, ქველმოქმედი და ოჯახის ღირებულებების მატარებელი პიროვნება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კობახიძის მიმართ უარყოფითი გაშუქება თითქმის არ ფიქსირდებოდა. ხელისუფლების პოზიტიური წარმოჩენა ემყარებოდა ემოციურად დამუხტულ ტექსტებსა და ვიზუალურ მასალას, რაც ხელს უწყობდა აუდიტორიის აღქმას, რომ ხელისუფლება პასუხისმგებელია ქვეყნის დაცვასა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე.

პროევროპული პროტესტის მონაწილეები, ოპოზიცია და დასავლური ინსტიტუტები, საპირისპიროდ, რეგულარულად წარმოჩენილნი იყვნენ უარყოფითად. პროტესტის მონაწილეები ხშირად დისკრედიტირებულნი იყვნენ კოლექტიური ტერმინებით, როგორიცაა „მაიდანის მომხრეები“, „რევოლუციონერები“ ან „ბრბო“, რაც მიზნად ისახავდა მათ დეჰუმანიზაციას და ძალადობრივი, არადემოკრატიული მოქმედებების მქონე ჯგუფის სახით წარმოჩენას. მათი

დისკრედიტაცია ხშირად დაკავშირებული იყო არა მხოლოდ ძალადობრივ ქცევასთან, არამედ გენდერული გამოხატულებისა და არატრადიციული ჩაცმულობის ვიზუალურ გამოყენებასთან, რაც გაშუქების მანიპულაციურ სტილზე მიუთითებს. ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კრიტიკული მედია ერთგვარად გაერთიანებულნი იყვნენ როგორც დასავლეთის გავლენის აგენტები, რომლებიც, პოსტებში გავრცელებული ნარატივის მიხედვით, ხელს უწყობდნენ ქვეყნის შიდა არასტაბილურობას. ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი კონკრეტულ დროს წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც მტრის პერსონიფიცირებული იმიჯები, რომელთაც უკავშირებდნენ 2008 წლის ომის დაწყებას, ადამიანთა წამებას და კრიმინალურ აქტივობებს. ეს პროცესი აჩვენებს, რომ დისკრედიტაციის სტრატეგია ორი გზით იმართებოდა: კონკრეტული ბრალდებების შემთხვევაში ინდივიდები პერსონალურად კრიტიკის საგნად იქცეოდნენ, ხოლო ზოგადი ოპოზიციის მიმართ საერთო უარყოფითი ნარატივი იყო წარმოდგენილი.



ინფოგრაფიკა მოამზადა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ პრძოლა ნარეკლების ეზოთ“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების საგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა. მასში გადმოცემული ინფორმაცია ეკუთვნის CRRC-საქართველოს კვლევის ჯგუფს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების საგენტოს (Sida) პოზიციას.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ანტიდასავლურ ნარატივებში ხშირად კრიტიკის ობიექტი იყო. მისი პროდასავლური განცხადებები წარმოჩენილი იყო, როგორც დასავლური ინსტრუქციებით ნაკარნახევი, ხოლო მისი მონაწილეობა საპროტესტო პროცესებში და ტრამპის ინაუგურაციაზე დასწრება ქვეყნის სტაბილურობისთვის საფრთხის შექმნასთან ასოცირდებოდა. ნარატივები მას წარმოაჩენდნენ, როგორც „მონური ფსიქოლოგიის მქონე“ ან „გარე მხარდაჭერის მაძიებელ“ ლიდერს. ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, პირიქით, ხშირად პოზიტიურად იყო წარმოჩენილი, როგორც დასავლური ლიბერალიზმის მთავარი მოწინააღმდეგე და ეროვნული კონსერვატიული ღირებულებების მფარველი. მსგავსი პოზიტიური ნარატივი ეხებოდა აშშ-ს ადმინისტრაციის კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, მაგალითად, USAID-ის საქმიანობის შეჩერებას, რაც ადგილობრივ პროსახელისუფლებო წყაროებში დასავლური გავლენების შემცირების პრინციპულად მნიშვნელოვან ნაბიჯად აღიქმებოდა.

ევროკავშირი, ევროპარლამენტი და სხვა დასავლური ინსტიტუტები ანტიდასავლურ ნარატივში ნეგატიურად იყვნენ წარმოჩენილნი. ევროკავშირს ხშირად აკავშირებდნენ „სადამსჯელო პოლიტიკასთან“ და ხაზს უსვამდნენ მის ძალისხმევას პროტესტის გასაძლიერებლად. დასავლელი ელჩები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის „სოროსის ფონდი“, წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის მხარდამჭერები, რომლებიც პროტესტის მონაწილეებს აკონტროლებდნენ. უკრაინა და პრეზიდენტი ზელენსკი ხშირად ნახსენები იყო დასავლეთის მარიონეტების კონტექსტში.

დიაგრამა 4: პოსტებში ნახსენები ძირითადი აქტორები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, სრული მონაცემები (პოსტების რაოდენობა)



აზერბაიჯანულენოვან პოსტებში ტენდენციები ძირითადად ემთხვევა ქართულენოვან სეგმენტს, თუმცა, ტონი შედარებით ნეიტრალური იყო (იხ. დიაგრამა 5). ხელისუფლების წარმომადგენლები, პროტესტის მონაწილეები, ოპოზიცია და ევროკავშირი ხშირად წარმოჩენილნი იყვნენ დაბალანსებულად, საინფორმაციო სტილში. განსაკუთრებულად გამოირჩეოდა რუსეთის მიმართ ზომიერი პოზიტიური ტონი. ხაზგასმული იყო ნარატივები აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის შესახებ, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას და ანტიდასავლურ ნარატივებს ავრცელებს.

დიაგრამა 5: პოსტებში ნახსენები ძირითადი აქტორები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი (პოსტების რაოდენობა)

სომხურენოვან სეგმენტში ხაზგასმული იყო პრორუსული კომპონენტი. ხელისუფლება პოზიტიურად, ხოლო პროევროპული პროტესტი და ოპოზიცია უარყოფით ჭრილში იყო წარმოდგენილი (იხ. დიაგრამა 6). რუსეთი და სომხეთი პოზიტიურად იყვნენ წარმოჩენილნი, ხოლო დასავლეთი, აშშ, ევროკავშირი და სხვა გლობალური ინსტიტუტები – როგორც საქართველოს სუვერენიტეტისთვის საფრთხის შემცველი ძალები. ანტიდასავლური გზავნილები სომხურენოვან სეგმენტში ხშირად აკავშირებდა დასავლურ ინსტიტუტებს პროტესტის ორგანიზებასა და ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნასთან.

დიაგრამა 6: პოსტებში ნახსენები ძირითადი აქტორები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, სომხურენოვანი სეგმენტი (პოსტების რაოდენობა)

ძირითადი გამავრცელებლები (პოსტების ავტორები და გამზიარებლები)

რაც შეეხება პოსტების ავტორებსა და გამავრცელებლებს, გარდა იმისა, რომ ისინი მოიცავდა მონიტორინგისთვის შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებს, რომლებიც ხშირად თავად ან მათი „ადმინები“ იყვნენ პოსტის ავტორები და/ან გამავრცელებლები, პოსტებს წერდნენ და აზიარებდნენ მრავალფეროვანი აქტორები: საინფორმაციო მედია საშუალებები, ხელისუფლების წარმომადგენელი პოლიტიკოსები, აქტივისტები, ჟურნალისტები, ასევე უცნობი ინდივიდები.

მონიტორინგის მიხედვით, ქართულენოვან სეგმენტში ძირითადი ავტორები და გამავრცელებლები იყვნენ შემდეგი გვერდები/ჯგუფები: „პოლიტიკოსები ერთი ლარიდან“, „POSTV – ანალიტიკა“, „Gogaggg“, „არ აგარევინებთ“ და „შიგ ევროპაში“. ეს გვერდები რეგულარულად ავრცელებდნენ ანტიდასავლურ და პროსახელისუფლებო ნარატივებს, ხშირად სატირულ და მანიპულაციურ ფორმებში. გვერდების „ადმინები“, მაგალითად, დავით თორდია („ლიდერი 41“), ლეილა ცინაძე–მელიქიძე („ბიძინა ივანიშვილი და მომავალი თაობა“) და გეგა გიორგი ხვედელიძე („წმინდა მამები და მათი გამონათქვამები“) არა მხოლოდ მართავდნენ გვერდებს, არამედ იყვნენ კონტენტის ავტორები და გამავრცელებლები, აქვეყნებდნენ ფოტოებს, ვიდეოებს და ხაზს უსვამდნენ ხელისუფლების მხარდამჭერ გზავნილებს.

საინფორმაციო მედია საშუალებები („ტვ იმედი“, „მედია კავშირი ობიექტივი“) და კონსერვატიული ჯგუფები („ქართული იდეა“) ქმნიდნენ კონტენტს, რომელიც შემდეგ გვერდებსა და „ადმინებს“ გადაეცემოდათ. რეგიონული მედია და ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფები („ივანიშვილის მხარდამჭერები აჭარაში“, „top–news.ge“, „გაზეთი აჭარა“) უფრო ნეიტრალურ ტონს იყენებდნენ, თუმცა ხშირად ავრცელებდნენ პროსახელისუფლებო გზავნილებს, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წინასაარჩევნო პერიოდში, რაც ქმნიდა „ეფექტური ხელისუფლების“ იმიჯს.

პოსტების ავტორებს შორის იყვნენ უცნობი ან ზოგჯერ „საეჭვო“ პროფილები, რომლებიც შესაძლოა, მიზანმიმართულ საინფორმაციო კამპანიაში იყვნენ ჩართული: მაგალითად, Giorgi Farava, Elena–Lena Tepnadze, დარეჯან მეფარიშვილი და ტიტე ნატუტარი. ასევე, მმართველი პარტიის პოლიტიკოსები, როგორებიც არიან: ირაკლი კობახიძე, დიმიტრი სამხარაძე, ნინო ლაცაბიძე, კახა კალაძე, ირმა ინაშვილი და რიმა ბერაძე, ხშირად ავრცელებდნენ ანტიდასავლურ ნარატივებს თავიანთი პოსტების საშუალებით, რაც აძლიერებდა პარტიის პოზიტიურ იმიჯს და ხელს უწყობდა ოპოზიციის დისკრედიტაციას.

აზერბაიჯანულენოვან პოსტებში მთავარი ფიგურები აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო მედია საშუალებები იყვნენ, Aktual.ge და 24news.ge, რომლებიც მონიტორინგისთვის იყო შერჩეული. ისინი ავრცელებდნენ ინფორმაციას საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, საპროტესტო აქციებსა და ხელისუფლების განცხადებებზე, ასევე დასავლეთის პოზიციებს, საქართველოს ხელისუფლების პოზიციებს, აზერბაიჯანთან ურთიერთობებსა და გლობალურ პოლიტიკას. ეს მედია საშუალებები, ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებული ბარიერის გამო, ძირითადი წყარო იყო საქართველოში აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის. მათი მიზანი იყო,

აუდიტორიისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მართებულ კონტექსტში, ხელისუფლების პოზიციების ან პროსახელისუფლებო გზავნილების ხაზგასმით.

სომხურენოვან სეგმენტში მონიტორინგის ფარგლებში შერჩეული იყო ორი გვერდი: „ფარვანა ტვ“ და „ჯავახური დიასპორა რუსეთში“. „ფარვანა ტვ“–ს „ფეისბუქ გვერდს“ 13 ათასი გამომწერი ჰყავდა, პოსტების უმეტესობა რამდენიმე გაზიარებას იღებდა, ზოგი მნიშვნელოვანი პოსტი უფრო ფართოდ ვრცელდებოდა. „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ გვერდს 1.7 ათასი გამომწერი ჰყავდა და პოსტები ძირითადად ორგანიზაციის ხელმძღვანელის, აღასი არაბიანის მიერ სხვადასხვა ჯგუფში იყო გაზიარებული, თუმცა, გამოხმაურება შეზღუდული იყო (დაახლოებით ათამდე გაზიარება). ამ გვერდებსა და ჯგუფს ძირითადად პროსახელისუფლებო გზავნილების, ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და ანტიდასავლური განწყობების გავრცელება ახასიათებდა.

ანტიდასავლური რიტორიკის ბუნება

მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება მიექცა იმას, იყო თუ არა პოსტებში წარმოდგენილი ინფორმაცია აშკარად ყალბი, ან შეიცავდა თუ არა სუბიექტურ ინტერპრეტაციასა და მანიპულაციას. კვლევის ფარგლებში მონიტორები არ ატარებდნენ „ფაქტ–ჩეკერების“ ტიპის სრულ მოკვლევას, არამედ აკვირდებოდნენ მხოლოდ პოსტებში მოყვანილ ინფორმაციას, მითითებულ წყაროებს და, დაეჭვების შემთხვევაში, საჯარო მონაცემებში ამოწმებდნენ მათ სისწორეს. შედეგად გაირკვა, რომ გამოკვლეული პოსტების უმეტესობაში აშკარად ყალბი ინფორმაცია არ აღმოჩნდა, მხოლოდ მცირე პროცენტში, დაახლოებით ერთ პროცენტში, დაფიქსირდა ინფორმაცია, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამებოდა (იხ. დიაგრამა 7). მაგალითად, მსგავსი პოსტები შეიცავდნენ დეზინფორმაციას ემანუელ მაკრონის მიერ კოკაინის მოხმარების შესახებ ან აბსურდულ ინფორმაციას აშშ–ს მიერ სალომე ზურაბიშვილის ევაკუაციის შესახებ.

დიაგრამა 7: აშკარად ყალბი ინფორმაციის პროცენტული წილი შერჩეულ პოსტებში 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე



პოსტების დაახლოებით მესამედის შემთხვევაში რთული იყო ინფორმაციის ნამდვილობის შეფასება, რადგან მოცემული ინფორმაცია ხშირად შეიცავდა სინამდვილის ელემენტებს ან იყო კონსპირაციული ნარატივის ნაწილისგან შექმნილი, ან ერთი მხრიდან დანახული სიმართლის სუბიექტური ინტერპრეტაციას წარმოადგენდა. მონიტორინგის პერიოდში ყურადღება დაეთმო იმ ტექნიკებს, რომლებსაც დეზინფორმაციისა და ემოციურობის გასაძლიერებლად იყენებდნენ. სხვადასხვა გვერდზე გამოჩნდა ინფორმაციის მიწოდება ნახევრად სიმართლით, რეალური კადრების კონტექსტიდან ამოჭრა, ერთი ადამიანის მოსაზრების ფაქტად წარმოჩენა, იარლიყების მიწებება, სატირა და გაშარჟება, ვიდეოებისა და ფოტოების მანიპულაცია, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. ქართული გვერდები და ჯგუფები განსაკუთრებით გამორჩეულნი იყვნენ ემოციური მანიპულაციების მხრივ. ფოტოები,

რომლებიც პოსტებში იყო გამოყენებული, ხშირად სუბიექტურად აღწერდნენ მოვლენებს ან კონტექსტიდან ამოღებულ კადრებს წარმოადგენდნენ, ხოლო ვიდეო მასალების მცირე, რამდენიმე წამიანი კლიპები მაყურებელს აძლევდა მზა ინტერპრეტაციას, რომ სწრაფად გავრცელებულიყო ნარატივის ძირითადი მესიჯი. ვიდეო მანიპულაციის მაგალითებს შორის იყო ოპოზიციის ლიდერების დაცინვა, 4 ოქტომბრის აქციებში მონაწილე აქტორების დამამცირებელი გაშუქება, აგრეთვე ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ფოტოები და ვიდეოები, სადაც რეალური პოლიტიკური მოვლენები ან აქტორები დამამცირებელ ან კომიკურ კონტექსტში იყო წარმოჩენილი (რამდენიმე ასეთი პოსტის ფოტო მოცემულია ტექსტში). ხელოვნური ინტელექტით შექმნილ ზოგ ფოტოს ან ვიდეოს ჰქონდა შესაბამისი მითითება. თუმცა, ეს მითითება წვრილ წარწერას წარმოადგენდა და ბევრისთვის შეუმჩნეველი დარჩებოდა.

საერთო ჯამში, 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდში, შერჩეულ „ფეისბუქ“ გვერდებსა და ჯგუფებზე გაანალიზებული 4,017 პოსტების 65%-ს თანდართული ჰქონდა ფოტო, ხოლო 32%-ს – ვიდეო, რომელთაგან ფოტოების 2% და ვიდეოების 17% მანიპულაციური იყო. 2025 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ვიდეო მანიპულაციების მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. ამ პერიოდის პოსტებში წარმოდგენილი ვიდეოების 20% ვიდეო მანიპულაციას წარმოადგენდა.





ინფოგრაფიკა მომზადდა პროექტის „ანტიდეზინფორმაციული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით" ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების საგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა. მასში გადმოცემული ინფორმაცია ეკუთვნის CRRC-საქართველოს კვლევას. ნებადართულია და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების საგენტოს (Sida) პოზიციას.

აზერბაიჯანულენოვანი პოსტები განსხვავდებოდა ქართული გვერდებისგან. აქ გამოყენებული იყო საინფორმაციო სტილი, ფოკუსი იყო ფაქტებზე, ძირითადად დასავლელი ლიდერების, ევროკავშირის, აშშ-სა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებიდან პირდაპირი ციტატები ქვეყნდებოდა. აშკარად ყალბი ინფორმაცია არ დაფიქსირებულა, თუმცა, ზოგჯერ კონტექსტის ნაკლებობის გამო რთული იყო ინფორმაციის სისწორის შეფასება. ასეთი პოსტები მიზნად ისახავდნენ დასავლეთის მიმართ უნდობლობის გაღვივებას და იმ აზრის მხარდაჭერას, რომ საქართველოს სუვერენიტეტს მხოლოდ ხელისუფლება იცავს.

სომხურენოვან გვერდსა და ჯგუფზეც პოსტების უმეტესობა ტექსტებს, მოკლე და ვრცელ ციტატებს, ფოტოებსა და მოკლე ვიდეოებს მოიცავდა. პოსტების ნაწილი სომხურ ენაზე, ნაწილი რუსულ ენაზე იყო შექმნილი, ზოგჯერ გამოჩნდებოდა პოსტები ქართულ ენაზეც. აქაც ძირითადად ხელისუფლების განცხადებების გაშუქება იყო, ხშირ შემთხვევაში კონტექსტიდან ამოღებული ციტატებით. ყალბი ან მანიპულაციური კონტენტის წილი ძალიან მცირე იყო, დაახლოებით 12%-ზე ნაკლები. მსგავსი ფორმატის პოსტები აუდიტორიას საშუალებას აძლევდა, ადვილად მიეღო ინფორმაცია, ხოლო მანიპულაციური ტექნიკები ძირითადად ცალმხრივი მოვლენების წარმოჩენითა და კონტექსტის შეზღუდვით გამოირჩეოდა.

თუმცა, ყველგან საერთო ნიშანი იყო ის, რომ აუდიტორიას აწვდიდნენ მზა ინტერპრეტაციას, ხშირად ემოციური ან სუბიექტური შეფასებების, იარლიყების მიწებების, ვიდეო-ფოტო მანიპულაციისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. ქართულენოვან პოსტებში ეს პრაქტიკა ყველაზე ძლიერი იყო, აზერბაიჯანულენოვანში ნაკლებად გვხვდებოდა, ხოლო სომხურენოვანში – რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

დასკვნა

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ანტიდასავლური შინაარსით გამორჩეულ „ფეისბუქ“ გვერდებსა და ჯგუფებში ძირითადი ნარატივები საქართველოში სისტემატურად ფუნქციონირებს, როგორც პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტი, და მიზნად ისახავს პროსახელისუფლებო დამოკიდებულების გაძლიერებას და დასავლური ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის გაღვივებას. 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ნოემბრამდე დაკვირვების პერიოდში აშკარად თვალსაჩინო გახდა, რომ საქართველოს შიდა პროცესები, პროდასავლური საპროტესტო აქციები, ოპოზიცია და მათი კონკრეტული ლიდერები ძირითადად ნეგატიურ კონტექსტში იყვნენ წარმოჩენილნი, ხოლო ხელისუფლება — „ქართული ოცნება“ — პოზიტიურად, როგორც სუვერენიტეტის დამცველი და სტაბილურობის გარანტი. ეს განწყობა თანმიმდევრულად გამოხატული იყო როგორც ქართულენოვან, ისე სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში, თუმცა, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან კონტენტში ხშირად უფრო მეტად ფაქტობრივი, საინფორმაციო სტილი დომინირებდა.

ანტიდასავლური გზავნილების ფორმატი მრავალფეროვანი იყო: ქართულენოვან სეგმენტში მასალები ხშირად ემოციურ, დამცინავ და დისკრედიტაციულ ნარატივებს და ფორმას მოიცავდა, რაც გადმოცემული იყო მოკლე ტექსტებით, კლიპებით, რეალური კადრების კონტექსტიდან ამოგლეჯით, ციტატების არჩევით გამოყენებით და იარლიყების მიწებებით. სომხურენოვან გვერდებზე, განსაკუთრებით „ფარვანა ტვ“-ზე, პოსტები ძირითადად მოკლე ტექსტები და ციტატები იყო, რომლებსაც თან ახლდა ვიდეომასალები, სადაც ხელისუფლების პოზიცია იყო გაძლიერებული, ხოლო ანტიდასავლური გზავნილები უფრო შენელებულ, ფაქტობრივ კონტექსტში ჩნდებოდა. „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ „ფარვანასგან“ განსხვავებით, აქტიურად იყენებდა რუსულ პროპაგანდას და ხელისუფლების მხარდამჭერ ნარატივებს, რაც ხაზს უსვამდა დასავლეთის დისკრედიტაციას და ცდილობდა, რუსეთი საჭირო საგარეო პარტნიორად წარმოეჩინა. აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში კონტენტი ძირითადად საინფორმაციო ხასიათის იყო, ციტატების და ოფიციალური განცხადებების წარმოჩენით, რაშიც ანტიდასავლური გზავნილები იკვეთებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ქვეშ მყოფ „ფეისბუქ“ გვერდებსა და ჯგუფებში აშკარად ყალბი ინფორმაცია იშვიათად ფიქსირდებოდა (1%-მდე), პოსტების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით მესამედი) სუბიექტურად ან მანიპულაციურად იყო წარმოდგენილი შემდეგი ტექნიკების გამოყენებით: ცალმხრივი კონტექსტი, ნახევრად სიმართლე, განზოგადება, სუბიექტური ინტერპრეტაციები, სატირა და აუდიო-ვიზუალური მანიპულაციები.

ამგვარად, ანტიდასავლური პროპაგანდა საქართველოში აქტიურად იყენებს სოციალური ქსელის მექანიზმებს – სწრაფი გავრცელების საშუალებას, ემოციურ და ვიზუალურ დატვირთვას, ნარატივების შექმნისას ითვალისწინებს კონკრეტული აუდიტორიის ენობრივ და რეგიონულ სპეციფიკას. მისი მთავარი ეფექტი არ ემყარება ფაქტების გაყალბებას, არამედ ემოციურ, სტრუქტურულად დახვეწილ მანიპულაციებში მდგომარეობს, რაც საზოგადოებაში უნდობლობას, პოლიტიკურ პოლარიზაციას და პროსახელისუფლებო დამოკიდებულების გაძლიერებას უწყობს ხელს.

დანართი 1: მეთოდოლოგია

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით" ფარგლებში, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" ანტიდასავლური ნარატივების შესასწავლად ავირჩიეთ ერთწლიანი პერიოდი 2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ, როცა პრემიერმინისტრმა საქართველოს ევროინტეგრაციის შეჩერების შესახებ განაცხადა და მასობრივი პროდასავლური პროტესტიც დაიწყო – 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე.

ანტიდასავლური ნარატივების შესასწავლად შევარჩიეთ 16 საჯარო გვერდი/ჯგუფი, რომელიც ანტიდასავლური და საქართველოს ევროინტეგრაციის საწინააღმდეგო რიტორიკით გამოირჩევა და მაღალი პოპულარობით სარგებლობს (ბევრი მიმდევარი/წევრი ჰყავს). ამ 16 გვერდიდან/ჯგუფიდან 12 ქართულენოვანი გვერდი/ჯგუფია. ამ 12–დან ორია ფოკუსირებული კონკრეტულად აჭარის რეგიონზე. გარდა ამისა, ვაკვირდებით 2–2 სომხურ და აზერბაიჯანულენოვან გვერდს/ჯგუფს, რომელიც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვისაა გამიზნული და უმეტესად ისინი მოიხმარენ. ამ გვერდებისა თუ ჯგუფების შესარჩევად გამოვიყენეთ საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის შემსწავლელი ორგანიზაციების ანგარიშები, CRRC–საქართველოს სოც. მედიის შემსწავლელი ანგარიში. ასევე, ჩვენ მიერ შედგენილი პირველადი სია გავუზიარეთ და რჩევები მივიღეთ იმ ორგანიზაციებისგან, ვინც დღემდე მუშაობს დეზინფორმაციის იდენტიფიკაციასა და ანტიდასავლური პროპაგანდის შესწავლაზე. შერჩეული ჯგუფები/გვერდები მოიცავს „ქართული ოცნების" ღიად მხარდამჭერ, ანონიმურად/არაპირდაპირ მხარდამჭერ ჯგუფებს/გვერდებს, მეინსტრიმ და არამეინსტრიმ მედია საშუალებებს, მათ შორის ადგილობრივ საინფორმაციო გვერდებსა და ულტრამემარჯვენე გვერდს. საინტერესოა, რომ აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში შერჩეული გვერდები არ არის განსაკუთრებულად ანტიდასავლური შინაარსის, რადგან ასეთი ვერ მოვიძიეთ. იგივე ეხება აჭარის რეგიონში შერჩეულ გვერდს. ესენი უფრო ადგილობრივ მედია საშუალებებს წარმოადგენენ.

შერჩეულ გვერდებზე/ჯგუფებში პოსტების შერჩევა რამდენიმე მიდგომით კეთდება. ქართულენოვანი გვერდების/ჯგუფების შემთხვევაში თითოეული გვერდიდან/ჯგუფიდან შეირჩევა უმეტესად მარტივი შემთხვევითი წესით მოხდა. გარდა ამისა, თითოეული ჯგუფისთვის/გვერდისთვის შერჩევაში მოხვდა 10 ყველაზე პოპულარული პოსტი.

მონიტორინგის პერიოდში 16 შერჩეული გვერდის/ჯგუფის სია ერთხელ შეიცვალა და ორი გვერდი ჩანაცვლდა სხვა მსგავსი შინაარსის გვერდებით, რადგან ერთი მათგანი დაიბლოკა თავად მეტას მიერ, ხოლო მეორემ შეწყვიტა პოსტების აქტიური გამოქვეყნება „ფეისბუქზე". ქვემოთ მოცემულია მონიტორინგისთვის შერჩეული გვერდების/ჯგუფების ჩამონათვალი:

№	ენა	ჯგუფი / გვერდი	ჯგუფის სახელი	მიმდევრების რაოდენობა
1	ქართული	გვერდი	ლიდერი 41	42,000
2	ქართული	გვერდი	ანტი-მაიდანი[2]	6,600
	ქართული	გვერდი	არ აგარევინებთ	20,000
3	ქართული	ჯგუფი	ბიძინა ივანიშვილი და მომავალი თაობა№oficial	20,100
4	ქართული	გვერდი	სირცხვილის კორიდორი[3]	56,000
	ქართული	გვერდი	შიგ ევროპაში	7,500
5	ქართული	გვერდი	Gogaggg	602,000
6	ქართული	გვერდი	პოლიტიკოსები 1 ლარიდან	26,000
7	ქართული	ჯგუფი	წმინდა მამები და მათი გამონათქვამები	36,000
8	ქართული	გვერდი	პატრიოტული გვერდი	46,000
9	ქართული	გვერდი	POSTV - ანალიტიკა	274,000
10	ქართული	გვერდი	News.mcvane.ge	152,000
11	სომხური	გვერდი	ფარვანა ტვ „ანარეკლი“	12,000
12	სომხური / რუსული	გვერდი	Джавахкская диаспора России	1,700
13	აჭარა	ჯგუფი	ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ჯგუფი აჭარაში	2,000
14	აჭარა	გვერდი	გაზეთი აჭარა	5,800
15	აზერბაიჯანული	ჯგუფი	24News.ge	16,800
16	აზერბაიჯანული	გვერდი	Aktual.ge	34,000

პოსტების პირველადი გაფილტვრის შედეგად მათი ნაწილი სიღრმისეული შესწავლის საგანი ხდება. პოსტები კვლევისთვის რელევანტურად ითვლება თუკი:

- რაიმე სახით აჟღერებს ან ეხება ანტი-დასავლურ დისკურსს - აზიანებს / ეჭვქვეშ აყენებს / უარყოფითად წარმოაჩენს / აკრიტიკებს საქართველოს ევროინტეგრაციას, თავს ესხმის ევროინტეგრაციის მხარდამჭერ აქტორებს/პოლიტიკოსებს და მხარს უჭერს ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგე აქტორებს/პოლიტიკოსებს;
- ეხება ევროპას, აშშ-ს, დასავლეთს ან მათ წარმომადგენლებს;
- რაიმე სახით აჟღერებს პრო-რუსულ დისკურსს;
- ეხება პროდასავლურ/ანტირუსულ პროტესტს.

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 29 ნოემბრამდე სიღრმისეულად გაანალიზდა 4,017 პოსტი.

[2] 2025 წლის 22 თებერვლის შემდეგ გვერდი „ანტი-მაიდანი“ ჩანაცვლდა გვერდით „არ აგარევინებთ“, რადგანაც „ანტი-მაიდანი“ დაიბლოკა მეტას მიერ.

[3] 2025 წლის 22 თებერვლის შემდეგ გვერდი „სირცხვილის კორიდორი“ ჩანაცვლდა გვერდით „შიგ ევროპაში“, რადგანაც „სირცხვილის კორიდორმა“ შეწყვიტა აქტივობა.

შეზღუდვები

ამ კვლევას არ აქვს პრეტენზია იმაზე, რომ შეისწავლის სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მოქმედ ყველა ანტიდასავლური ჯგუფის/გვერდის შინაარსს. თუმცა, კვლევა აჩვენებს ძირითად სურათს. „ფეისბუქში“ პოსტები დინამიურია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა, პოსტის ტექსტი დარედაქტირდეს თავად ავტორის მიერ, ან დაიბლოკოს/შეიზღუდოს მეტას მიერ და გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელმისაწვდომი აღარ იყოს.